განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია/Classical Archaeology of Black Sea and Caucasus**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**არქეოლოგიის მაგისტრი/Master of Archaeology**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მერაბ ხალვაში, პროფესორი, ელ. ფოსტა: m.khalvashi@bsu.edu.ge ემზარ კახიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: emzar.kakhidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ შეიქმნას თეორიული და პრაქტიკული ბაზა კავკასიისა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის ძირითად საკითხებში; ✓ კურსის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლად შეძლოს კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ყველა ფუნდამენტური კულტურის აღქმა, ინტერპრეტაცია, ორიგინალური საკვლევი თემების განსაზღვრა, საკუთრივ კვლევების წარმოება და მიღებული შედეგების გააზრება; ✓ სამეცნიერო ფონდებში, ლაბორატორიებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საველე პირობებში, მიღებული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით, დაამუშაოს ახლადაღმოჩენილი თუ უკვე არსებული არქეოლოგიური მასალა, განსაზღვროს მათი ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და ფუნქციური თავისებურებები, მოახერხოს სხვაგან აღმოჩენილ ანალოგიურ თუ მსგავს მასალასთან შედარება და ინტერპრეტაცია; ✓ მოახერხოს ემპირიული და თეორიული მასალის ურთიერთდაკავშირება, ველზე თუ კვლევის სხვა ობიექტზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემებისს გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება;

	✓ შეიძინოს მეზობელ რეგიონების კულტურაზე ღრმა და სისტემური ცოდნა, გაიაზროს ვრცელ რეგიონში ქართველური სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური პოზიციონირების პარადიგმები, შეეძლოს პროფესიული, ეთიკური და მსოფმხედველობრივი (ინტერკულტურული) პრინციპების დაცვა და გავრცელება.
სწავლის შედეგები	✓ ახდენს არქეოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას, მათ შორის თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების შესახებ; ✓ აცნობიერებს - არქეოლოგიის მნიშვნელობას, ისტორიული წარსულის ამსახველი მასალების მოძიების/გამოვლენის, გათხრის, კვლევის და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საქმეში; ✓ მატერიალური კულტურის ძეგლების მეშვეობით კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისას, განსაზღვრავს არქეოლოგიური მეცნიერების ძირითად ცნებებს და პრინციპებს; გამოკვეთს არქეოლოგიის თანამედროვე გამოწვევებს და დასახავს მათი გადაჭრის გზებს; ✓ აღწერს - ქართული და მსოფლიო არქეოლოგიის მიღწევებს და განვითარების ტენდენციებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას სოციალური, კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით; ✓ იყენებს დარგისთვის სპეციფიურ უნარებს არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად (არქეოლოგიური ძეგლის დაზვერვა, გათხრა, კულტურული ფენების გამოვლენა, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების აღმოჩენა, აღწერა, გაზომვა, სინჯების შეგროვება, პასპორტიზაცია, დახარისხება, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, ამა თუ იმ გეოდეზიური ხელსაწყოს ან გეო-საინფორმაციო სისტემის გამოყენება, შეფუთვა, დაბინავება, ძეგლის არქივის შექმნა.); ✓ საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენებით მოიძიებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, იყენებს მათ არქეოლოგიური მასალის ანალიზისთვის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის კვლევით ნაშრომს/პროექტს; ✓ დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით ახდენს საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირებას, ნაშრომზე მუშაობისას იყენებს დარგში აპრობირებულ კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და/ან უცხო ენაზე; ✓ ახდენს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას, განსაზღვრავს მათ კულტურულ კუთვნილებას და აკავშირებს სხვა არქეოლოგიურ ანალოგებთან; ✓ ხელმძღვანელობს - არქეოლოგიაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით, სამართლებრივი რეგულაციებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული პატიოსნებისა და ობიექტურობის პრინციპებით; ✓ მონაწილეობს - პროფესიული ღირებულებების განვითარება-დამკვიდრებაში და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; ✓ ადაპტირდება მულტიდისციპლინურ გარემოში და ავლენს თანამშრომლობის უნარს, სწავლისა და მუშაობისას ახდენს თვითორგანიზების, დროის ეფექტიანი მართვის, ინიციატივისა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების დემონსტრირებას.